



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 29
26/06/2020

29-09-4-202006261725



თელავის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და თელავის მუნიციპალიტეტს შორის 2020 წლის 23 ივნისს დადებული „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ თანდართული №26 ხელშეკრულება.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ხელშეკრულება №26

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე

ქ. თბილისი

23

ივნისი 2020 წელი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და „გარეული ცხოველების რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 31 ოქტომბრის №146 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (მის: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის ქ. №6) წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის (შემდგომში მინისტრის მოადგილე) იური ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ თელავის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16)), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის შოთა ნარეკლიშვილის სახით,

შევთანხმდით შემდეგზე:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) მიერ, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში მერია) გადაეცეს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის 5 (ხუთი) ინდივიდის რაოდენობის რეგულირების უფლება, მათი გარემოდან ამოღებით;
2. მგლის ინდივიდების რაოდენობის რეგულირების ღონისძიება, მათი გარემოდან ამოღებით განხორციელდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის გარეული ცხოველებისათვის ზიანის მიყენებას და უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს შენარჩუნებას;
3. რეგულირების ღონისძიების განსახორციელებლად მერია ქმნის ჯგუფს (ჯგუფებს), რომელსაც ევალება მგლის 5 ინდივიდის გარემოდან ამოღება;
4. დაუშვებელია გარემოდან ამოღებული მგლის ინდივიდის, ან მისი ნაწილის გაყიდვა, ან რაიმე ფორმით გასხვისება. იგი უნდა განადგურდეს მერიის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო განადგურებამდე მერია ვალდებულია ფაქტის შესახებ აცნობოს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ, ან რაიონულ ოფისს, ცოფის დაავადებაზე კვლევისათვის ნიმუშების აღების უზრუნველყოფის მიზნით.

5. მგლის ინდივიდების გარემოდან ამოღებასთან დაკავშირებული ღონისძიებები დაფინანსდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საჭიროების გათვალისწინებით;
6. მგლის ინდივიდების გარემოდან ამოღების პროცესის კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი). აღნიშნულის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მერია ვალდებულია წინასწარ აცნობოს დეპარტამენტს რეგულირების ღონისძიების ჩატარების დადგენილი ვადების თაობაზე;
7. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე;
8. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
9. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო;
10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

იური ნაზაძე
მინისტრის მოადგილე



შოთა ნარეკლიშვილი
მუნიციპალიტეტის მერი

